მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N17

ქ.წალენჯიხა 23 აგვისტო 2017 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 28 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 19 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ვლადიმერ გაბელია, დალი კვარაცხელია, ანზორ ფიფია, ილია გულუა, ვახტანგ ქუჩულორია, მერაბ კვარაცხელია, დავით ბელქანია, ლევან ფიფია, დარეჯან დადიანი, ნონა კვარაცხელია, ივერ კვარაცხელია, ვლადიმერ კვარაცხელია, ბორის კვარაცხელია, ელგუჯა მესხია, ბაჩუკი უბილავა, დავით ფიფია, ლევან შელია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12:00სთ.
სხდომა დასრულდა: 12:50 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

დღის წესრიგი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების („ინსექტიციდი-ზონდერი“) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.
გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **თეიმურაზ მებონია,** მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების თაობაზე
მომხსენებელი: **ვლადიმერ გაბელია**-საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ
მომხსენებელი: **ვლადიმერ გაბელია**-საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს: 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების („ინსექტიციდი-ზონდერი“) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგეობის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თეიმურაზ მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N37) .

მოისმინეს: 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების თაობაზე

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილები პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N27) .

მოისმინეს: 3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილები პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N38) .

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: - **თ. ღვინჯილია**